Re:

Kakhaber Dzimistarishvili

Wed 9/19/2018 4:54 PM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>;

სხვათაშორის, მე გამოვკითხე ის ხალხი ვინც ეხლა, გუშინ და გუშინწინ ანტიკორუფციულში ჩვენებებს იძლეოდა ჰეპატიტთან დაკავშირებით, რა საბუთებს ითხოვენ, რა კითხვებს სვამენ და ა.შ. მივიღე პასუხად, რომ ნაშთები გასწორებულია და ერთი ერთში ემთხვევა ერთმანეთს კილაძესთანაც და მედფარმაშიც. ასევე კლინიკებში. თუ თქვენი ნება იქნება, ამის გაჟღერებაც შეგვიძლია, როდესაც გადავაზუსტებთ მონაცემებს

From: David Sergeenko
Sent: Wednesday, September 19, 2018 4:29 PM
To: Kakhaber Dzimistarishvili
Subject: Re:

ჰეპატიტის წამალზე "ვერ მივაკვლიეთო" არ მახსოვს და ხომ შეგვიძლია ავუხსნათ მაგ ხალხს ამ მძღოლების ხელფასის ამბავი ?
ახლა რას გამოაჭენეს, მეც მაინტერესებს და კითხო ეგება

Sent from my iPhone

On Sep 19, 2018, at 14:27, Kakhaber Dzimistarishvili <kdzimistarishvili@moh.gov.ge> wrote:

> მოგესალმებით, ბატონო დავით!
> ეს საკითხები თქვენთან გავლილია და ეხება გასული, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას. პირველი, პრემიების საკითხი არის მძღოლების და მრჩევლების პრემიები, რომლებზეც ნოე გიმზადებდათ მოხსენებით ბარათებს.
>
> რაც შეეხება, მეორე საკითხს, ამის გამო ჩაატარეთ თქვენ ის პატარა თათბირი, ლაგვილავას, დარახველიძის, ეკა ადამიას და ჩემი შემადგენლობით. ეს თემა არ მოგვწონდა, მაგრამ არაფერი შეცვალეს და თქვენც დიდი გულისწყრომა აღარ გამოგიხატიათ მერე. აღარაფერი შველოდა ამ საკითხს. მერე გახლდით აქედან ჯგუფი წასული ბიბილაშვილი, მე და სხვებიც, მაგრამ საუბარი იყო რამდენიმე სააღრიცხვო პროგრამის არსებობაზე და რომ ნაშთები არ ემთხვეოდა საწყობებსა და სააღრიცხვო პროგრამებში ერთმანეთს.
>
> თქვენთვის ეს ჩანაწერები ცნობილი იყო, ოღონდ დიდი ხნის წინ.
>
> დღეს რამ გამოიწვია ამის აფიშირება, ვერ მოგახსენებთ. გუშინ იყო საგარეოზე, გუშინწინ ეკონომიკის სამინისტრო და ა.შ.
>
> სამწუხაროდ ჩვენც გაგვიჟღერეს.
>
> პატივისცემით, კახა